თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7898270

ნომერი: AR11139608

თარიღი : 23.04.2026

გაცემის თარიღი : 30.04.2026

გაცნობის თარიღი : 01.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა, N 42;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბიძინა ფხოველიშვილი პ/ნ 01026009027
- ქ. თბილისი, რ. ჩხიკვაძის #6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 23 აპრილს №AR11139608 განცხადებით მომართა ბიძინა ფხოველიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 22

აპრილის №7891773 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა №01.72.14.009.677 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერის განთავსება) განხორციელების შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კონდიციონერის მოწყობასთან ერთად დაფიქსირებული უნდა იყოს ბუნებრივი აირის ბოილერის მოწყობაც. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2026 წლის 30 მარტის №AR11136161 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.72.14.009.677 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.009.677.03.01.117) I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერის განთავსება) განხორციელების შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღება. აღნიშნულ განცხადებაზე წარმოდგენილი იქნა ფოტომონტაჟი, რომელზეც ასახულია საპროექტო კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერი, თუმცა, სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში განსახორციელებელი სამუშაოები არასრულად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №42-ში მდებარე №01.72.14.009.677 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.009.677.03.01.117) I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერის განთავსება) განხორციელებაზე შესაბამისი თანხმობის მიღებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება, ქ. თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა №42-ში მდებარე №01.72.14.009.677 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის ფასადზე (ს/კ: №01.72.14.009.677.03.01.117) I კლასის სამშენებლო სამუშაოების (კონდიციონერი და ბუნებრივი აირის ბოილერის მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობას.
- სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნეს კონსტრუქციული მდგრადობა.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 აპრილის №7891773 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.